ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N43

2023 წლის 31 ივლისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N27 განკარგულებით დამტკიცებულ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და სოფლის ავტობუსებზე შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება"-ს მიერ მგზავრობის მიმართულებებისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების დადგენის შესახებ" ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მესამე პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 ივლისის N114-1142320511მომართვის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და სოფლის ავტობუსებზე შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება"-ს მიერ მგზავრობის მიმართულებებისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების დადგენის შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N27 განკარგულებაში და „2" პუნქტს დაემატოს „2.1" „2.2" და „2.3" ქვეპუნქტები:

„2.1 _ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა უფასო სასადილოს ბენეფიციარებმა მუნიციპალური ტრანსპორტით (M3) მგზავრობისას მათი საცხოვრებელი სახლიდან „მუნიციპალურ უფასო სასადილომდე" და პირიქით, ისარგებლონ უფასო მომსახურებით და სრულად იქნან გათავისუფლებული მგზავრობის საფასურის გადახდისაგან. აღნიშნულმა პირებმა მგზავრობისას თან უნდა იქონიონ შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი მოწმობები ან/და დოკუმენტები".

„2.2 _ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა მუნიციპალური ტრანსპორტით (M3) მგზავრობისას ისარგებლონ უფასო მომსახურებით და სრულად იქნან გათავისუფლებული მგზავრობის საფასურის გადახდისაგან. აღნიშნულმა პირებმა მგზავრობისას თან უნდა იქონიონ შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი მოწმობები ან/და დოკუმენტები".

„2.3 _ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებმა მუნიციპალური ტრანსპორტით (M3) მგზავრობისას ისარგებლონ მგზავრობის ღირებულების 50%-იანი შეღავათით. აღნიშნულმა

პირებმა მგზავრობისას თან უნდა იქონიონ შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი მოწმობები ან/და დოკუმენტები“.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დ. მჭედლიშვილი